ფონდი
„საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“
წესდება

პრეამბულა

ჩვენ,

ვაცნობიერებთ საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში საჯარო მოსამსახურეთა როლს, საჯარო მოსამსახურეთა მაღალი პროფესიონალიზმის აუცილებლობას, საჯარო სამსახურში მაღალი ეთიკური ნორმების დამკვიდრებისა და დაცვის მნიშვნელობას,

აუცილებლად მიგვაჩნია საჯარო მოსამსახურეთა მომზადებისათვის სპეციალიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობა,

გვსურს ხელი შევუწყოთ საჯარო სამსახურის უზრუნველყოფას მაღალპროფესიული კადრებით, საჯარო სამსახურში მაღალი ეთიკური ნორმების დამკვიდრებას, სახელმწიფო მმართველობის პრობლემების მეცნიერულ კვლევასა და კვლევის შედეგების გამოყენებას,

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო მოხელეთა განათლება და სხვა საზოგადოებრივ პროფესიათა წარმომადგენლების მაღალი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია და საზოგადოების სწორი და შედეგიანი ფუნქციონირებისათვის,

ვაფუძნებთ ფონდს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს“ და ვაცხადებთ მის წესდებას:

## თავი 1. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინსტიტუტის სტატუსი

1. ფონდი „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ (შემდგომში - „ინსტიტუტი“) არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ასრულებს საწესდებო მიზნების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას.

2. ინსტიტუტი მოქმედებს წინამდებარე წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ინსტიტუტი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგებათ მესამე პირებს ინსტიტუტის მმართველი ორგანოების წევრების, ან ხელმძღვანელების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედებით, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

4. ინსტიტუტს აქვს თავისი ემბლემა, ბეჭედი, ბლანკი, საბანკო ანგარიშები.

5. ინსტიტუტის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ბროსეს ქუჩა № 2.

## თავი 2. ინსტიტუტის დამფუძნებლები; შენატანი და შესაწირავი

მუხლი 2. ინსტიტუტის დამფუძნებლები

1. ინსტიტუტის დამფუძნებლები არიან:

1. ანა ახალკაცი

დაბადებული 1970 წლის 6 ივნისს ქ. თბილისი, მცხოვრები 380062 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №75ა, პროფესიით ეკონომ-გეოგრაფი; პირადობის მოწმობა: №ბ 0287156, გაცემული 24.04.2000 წ. ვაკის რაიონის შსს, პირადი №01007001130.

2. გიორგი ბარამიძე

დაბადებული 1968 წლის 5 იანვარს ქ. თბილისი, მცხოვრები ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №6, პროფესიით პოლიტიკოსი, პასპორტი: №0009453, გაცემული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 07.03.2000 წ. პირადი №01024029152

3. არჩილ გეგეშიძე

დაბადებული 1956 წლის 9 დეკემბერს თბილისი, მცხოვრები 380094 ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №30, პროფესიით ეკონომ-გეოგრაფი, პასპორტი №0009626, გაცემული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2000 წლის 1 ივნისს, პირადი №01008002466.

4. გიორგი თოფურია

დაბადებული 1961 წლის 4 ივლისს ქ. თბილისი, მცხოვრები 380062 ქ. თბილისი, ბარნოვის მე-4 ჩიხი, ბინა №20, პროფესიით ჟურნალისტი; პირადობის მოწმობა: №ა 0056653, გაცემული 13.05.1995 წ. თბილისის ვაკის შსს მიერ, პირადი №01008002557.

5. თემურ იაკობაშვილი

დაბადებული 1967 წლის 3 სექტემბერი ქ. თბილისი, მცხოვრები 380086 ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, I კვარტალი, მე-6 კორპუსი, ბინა №8, პროფესიით დიპლომატი; პასპორტი: №0000471, გაცემული 19 ივლისი, 2000 წ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პირადი №01010001526.

6. მარკ მალენი

დაბადებული 1966 წლის 8 ოქტომბერი აშშ-ში, მცხოვრები ქ. თბილისი, ლარსის ქ. №1, ისტორიკოსი;

7. ნინო ქვანია

დაბადებული 1965 წლის 26 იანვარი, ქ. თბილისი, მცხოვრები 380062 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №150, პროფესიით ფსიქოლოგი; პასპორტი: №0004950, გაცემული 17.11. 1997 წ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პირადი №01005007007.

8. ლევან რამიშვილი

დაბადებული 1973 წლის 28 მარტს, ქ. თბილისი, მცხოვრები 380059 ქ. თბილისი, პაიჭაძის ქ. №26ბ, პროფესიით სოციოლოგი; პასპორტი №02989660, გაცემული 20.01.1998 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, პირადი №01006008075.

9. დათუნა რაქვიაშვილი

დაბადებული 16.07.1968 წ. ქ. თბილისი, მცხოვრები ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №10, პროფესიით გეოლოგი; პირადობის მოწმობა: №დ 0287416, გაცემული 30.08.2000 წ. ვაკის რაიონის შსს მიერ, პირადი №01008005994.

10. შერონ ჰადსონ-დინი (დაბადებული 1968 წლის 7 თებერვალს, აშშ-ში, მცხოვრები ქ. თბილისი, მეტეხის ქ. №7, პროფესიით დიპლომატი).

11. მიხეილ ჩაჩხუნაშვილი

დაბადებული 1947 წლის 6 ოქტომბერს ქ. თბილისი, მცხოვრები ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №28, ბინა 4, პროფესიით ფიზიკოსი, პირადობის მოწმობა: №დ

0084122, გაცემული 04.09.1995 წ. საბურთალოს რაიონის შსს-ს მიერ, პირადი №01026002419.

მუხლი 3. შენატანი;
შესაწირავის მინიმალური ოდენობა და სახე

1. ინსტიტუტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად ინსტიტუტის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან არაუგვიანეს ფონდის რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადში ფონდს გადასცენ ქონება, რომლის ღირებულებაც აღემატება სამიათას ლარს.
2. შესაწირავის მინიმალური ოდენობაა ათი ლარი;
3. შესაწირავის შეტანა შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით. არაფულადი შესაწირავის ღირებულება არ უნდა იყოს ათ ლარზე ნაკლები.

## თავი 3. ინსტიტუტის მიზანი და საქმიანობის საგანი

მუხლი 4. ინსტიტუტის მიზანი და საქმიანობა
1. ინსტიტუტი:
ა) ამზადებს უმაღლესი განათლების მქონე პირებს სახელმწიფო მართვის დარგში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანიჭებს მათ სახელმწიფო მართვის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხს.
ბ) ამზადებს სხვადასხვა სპეციალობის უმაღლესი განათლების მქონე პირებს.
გ) ხელს უწყობს ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დასაქმებას საჯარო სამსახურში და სხვა საზოგადოებრივ სფეროებში.
დ) იკვლევს ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურასა და მართვის ეფექტურობას, ავლენს სახელმწიფო მართვის სფეროში არსებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აანალიზებს და აფასებს მათ, შეიმუშავებს არსებული პრობლემების აღმოფხვრის რეკომენდაციებს, აღნიშნული პრობლემების განხილვის მიზნით ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, კოლოქვიუმებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებს.
ე) ხელს უწყობს სახელმწიფო სამსახურში საჯარო მოხელის მაღალი ეთიკური ნორმების დამკვიდრებას.
ვ) ხელს უწყობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობის ჰარმონიზებასა და მათ შორის თანამშრომლობას.
ზ) სწავლობს სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის გამოცდილებას მმართველობის სფეროში.
თ) საწესდებო მიზნების მისაღწევად მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებით ეწევა სხვა დამხმარე ხასიათის საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე წესდებით გაცხადებულ მიზნებს და საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 5. ინსტიტუტის საქმიანობის პრინციპები

1. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში იცავს მაღალი პროფესიული და მეცნიერული ეთიკის ნორმებს.

## თავი 4. ინსტიტუტის მმართველობა

მუხლი 6. კურატორიუმი

1. კურატორიუმი არის ინსტიტუტის სამეთვალყურეო ორგანო.
2. კურატორიუმი შედგება 5 წევრისაგან. კურატორიუმის წევრებს ნიშნავენ დამფუძნებელები და მის შემადგენლობაში ცვლილებები შეაქვთ დამფუძნებლებს.
3. კურატორიუმი:
აჩერებს და/ან აუქმებს გამგეობის გადაწყვეტილებებსა და/ან ღონისძიებებს, ან მოითხოვს მათ გაუქმებას, თუ გადაწყვეტილება და/ან ღონისძიება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და/ან ამ წესდებას.
4. კურატორიუმს აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებს ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
5. კურატორიუმის ორგანიზაციისა და საქმიანობის დეტალური წესი დგინდება ინსტიტუტის შინაგანაწესით.

მუხლი 7. გამგეობა

1. გამგეობა არის ინსტიტუტის უმაღლესი მმართველი ორგანო, რომელიც შედგება 11 წევრისაგან. გამგეობის წევრებს ნიშნავენ დამფუძნებლები.
3. გამგეობის საქმიანობას წარმართავს გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც თავის წევრთაგან ირჩევს და გამოიწვევს გამგეობა.
2. გამგეობა:
ა) წარმართავს ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას.
ბ) ნიშნავს და ათავისუფლებს ინსტიტუტის რექტორს. აკონტროლებს რექტორის საქმიანობას და ეხმარება მას თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულებაში.
გ) ყოველწლიურად ნიშნავს აუდიტორს ინსტიტუტის საფინანსო საქმიანობის შემოწმების მიზნით, განიხილავს აუდიტორის დასკვნას.
დ) ამტკიცებს ინსტიტუტის შინაგანაწესს, შეაქვს ცვლილებები ინსტიტუტის წესდებასა და შინაგანაწესში.
ე) აძლევს თანხმობას ინსტიტუტის რექტორს უძრავი ქონების შეძენის, ან გასხვისების, აგრეთვე კრედიტის აღების შესახებ.
ვ) ასრულებს ამ წესდებითა და ინსტიტუტის შინაგანაწესით დადგენილ სხვა ფუნქციებს.
3. გამგეობას აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებს ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ორი მესამედის მიერ.
4. გამგეობის წევრები არიან:
1. ანა ახალკაცი

დაბადებული 1970 წლის 6 ივნისს ქ. თბილისი, მცხოვრები 380062 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №75ა, პროფესიით ეკონომ-გეოგრაფი; პირადობის მოწმობა: №ბ 0287156, გაცემული 24.04.2000 წ. ვაკის რაიონის შსს, პირადი №01007001130.

2. გიორგი ბარამიძე

დაბადებული 1968 წლის 5 იანვარს ქ. თბილისი, მცხოვრები ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №6, პროფესიით პოლიტიკოსი, პასპორტი: №0009453, გაცემული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 07.03.2000 წ. პირადი №01024029152

3. არჩილ გეგეშიძე

დაბადებული 1956 წლის 9 დეკემბერს თბილისი, მცხოვრები 380094 ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №30, პროფესიით ეკონომ-გეოგრაფი, პასპორტი №0009626, გაცემული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2000 წლის 1 ივნისს, პირადი №01008002466.

4. გიორგი თოფურია

დაბადებული 1961 წლის 4 ივლისს ქ. თბილისი, მცხოვრები 380062 ქ. თბილისი, ბარნოვის მე-4 ჩიხი, ბინა №20, პროფესიით ჟურნალისტი; პირადობის მოწმობა: №ა 0056653, გაცემული 13.05.1995 წ. თბილისის ვაკის შსს მიერ, პირადი №01008002557.

5. თემურ იაკობაშვილი

დაბადებული 1967 წლის 3 სექტემბერი ქ. თბილისი, მცხოვრები 380086 ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, I კვარტალი, მე-6 კორპუსი, ბინა №8, პროფესიით დიპლომატი; პასპორტი: №0000471, გაცემული 19 ივლისი, 2000 წ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პირადი №01010001526.

6. მარკ მალენი

დაბადებული 1966 წლის 8 ოქტომბერი აშშ-ში, მცხოვრები ქ. თბილისი, ლარსის ქ. №1 (NDI), ისტორიკოსი;

7. ნინო ჟვანია

დაბადებული 1965 წლის 26 იანვარი, ქ. თბილისი, მცხოვრები 380062 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №150, პროფესიით ფსიქოლოგი; პასპორტი: №0004950, გაცემული 17.11. 1997 წ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პირადი №01005007007.

8. ლევან რამიშვილი

დაბადებული 1973 წლის 28 მარტს, ქ. თბილისი, მცხოვრები 380059 ქ. თბილისი, პაიჭაძის ქ. №26ბ, პროფესიით სოციოლოგი; პასპორტი №02989660, გაცემული 20.01.1998 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, პირადი №01006008075.

9. დათუნა რაქვიაშვილი

დაბადებული 16.07.1968 წ. ქ. თბილისი, მცხოვრები ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №10, პროფესიით გეოლოგი; პირადობის მოწმობა: №დ 0287416, გაცემული 30.08.2000 წ. ვაკის რაიონის შსს მიერ, პირადი №01008005994.

10. შერონ ჰადსონ-დინის (დაბადებული 1968 წლის 7 თებერვალს, აშშ-ში, მცხოვრები ქ. თბილისი, მეტეხის ქ. №7, პროფესიით დიპლომატი) წარმომადგენელმა ლაურა ლევენტისმა (დაბადებული 29.05.1974 წ. აშშ, სამხრეთ კაროლინა, მცხოვრები ირაკლი აბაშიძის ქ. №34, პასპორტი: ნომერი: 900190766, გაცემული 22 ივლისი, 1999 წ. აშშ-ს საპასპორტო სააგენტოს მიერ).

11. მიხეილ ჩაჩხუნაშვილი

დაბადებული 1947 წლის 6 ოქტომბერს ქ. თბილისი, მცხოვრები ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №28, ბინა 4, პროფესიით ფიზიკოსი, პირადობის მოწმობა: №დ 0084122, გაცემული 04.09.1995 წ. საბურთალოს რაიონის შსს-ს მიერ, პირადი №01026002419.

### მუხლი 8. რექტორატი

1. რექტორატი არის ინსტიტუტის აღმასრულებელი ორგანო.
2. რექტორატი შედგება რექტორის, პრორექტორებისა და ინსტიტუტის ადმინისტრაციის სხვა თანამდებობის პირებისაგან. რექტორატის სრული შემადგენლობა დგინდება ინსტიტუტის შინაგანაწესით.
3. რექტორატი უზრუნველყოფს ინსტიტუტის გამგეობის გადაწყვეტილებათა აღსრულებას.
4. რექტორატის საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის რექტორი, რომელიც ინიშნება 5 წლის ვადით.
5. რექტორატის საქმიანობის დეტალური წესი დგინდება ინსტიტუტის შინაგანაწესით.

### მუხლი 9. ინსტიტუტის რექტორი

1. რექტორი წარმართავს ინსტიტუტის ყოველდღიურ მუშაობას და წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში.
2. რექტორი ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე.
3. რექტორის ვადამდე გათავისუფლება დასაშვებია მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას.

### მუხლი 10. მრჩეველთა საბჭო

1. ინსტიტუტში შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომლის ორგანიზაცია, ფუნქციები და საქმიანობის წესი დგინდება ინსტიტუტის შინაგანაწესით.

## თავი 5. სწავლების ორგანიზაცია და პროცესი

### მუხლი 11. სწავლების ორგანიზაცია და პროცესი

1. სწავლების ორგანიზაცია და პროცესი, ინსტიტუტში მიღების დეტალური წესები დგინდება ინსტიტუტის შინაგანაწესით.

## თავი 6. ინსტიტუტის დაფინანსება

### მუხლი 12. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროები

1. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სახელმწიფო დაკვეთის შესრულებით მიღებული სახსრები;

ბ) საკუთარი შემოსავლები, მათ შორის, საკუთარი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული სახსრები;

გ) გრანტებითა და/ან შემოწირულობებით მიღებული სახსრები.

დ) სხვა სახსრები, რომელთა მიღება არ არის აკრძალული კანონმდებლობით

## თავი 7. ინსტიტუტის ლიკვიდაცია. რეორგანიზაცია

### მუხლი. 13. გადაწყვეტილების მიღება

1. ინსტიტუტის ლიკვიდაცია, ან მისი რეორგანიზაცია შესაძლებელია გამგეობის გადაწყვეტილებით მხოლოდ ხმათა არანაკლებ ოთხი მეხუთედის უმრავლესობით.
2. ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა დაინიშნოს ლიკვიდატორი.

### მუხლი 14. ლიკვიდაციის წესი

1. ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ლიკვიდაციის შემთხვევაში სალიკვიდაციო ხარჯების და დავალიანების დაფარვის შემდეგ, დარჩენილი თანხა ერთი წლის განმავლობაში შეინახება სადეპოზიტო ანგარიშზე.
2. თანხის შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ეს თანხა უნდა მოხმარდეს მსგავსი ორგანიზაციების დაფუძნებას. თუ თანხა ერთი წლის განმავლობაში მიზნობრივად ვერ დაიხარჯა, თანხა უნდა გადაეცეს მსგავსი მიზნის მქონე დაწესებულებას.

წესდებას დანართის სახით თან ერთვის მინდობილობა (08.08.2001 წ. ინგლისურ ენაზე, ქართული თარგმანით), გაცემული შერონ ე. ჰადსონ-დინის მიერ.

Mark Mullen

Laura Leventis for Sharon Hudson-Dean